პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცლები

№ 4 (67) 7 სექტემბერი 1955 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ხოროტგენიკოსის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

3. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერების შესახებ.

4. სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ორგმასობრივი მუშაობის შესახებ.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ.

6. ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-15 პუნქტის გაუქმების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება:

1. გოგინავას ილარიონ ოსების-ძეს — დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს
2. თოდრიას ბენიამინ ივლიანეს-ძეს — ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს
3. კახიანს გიორგი გრიგოლის-ძეს — ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს
4. კვაჭაძეს ალექსანდრე სიოს-ძეს — სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს
5. კეკელიძეს აკაკი სამსონის-ძეს — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს მთავარ აგრონომს
6. ნამჩენკოს მიხეილ პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროს აგრონომს
7. ქირიას გენადი პეტრეს-ძეს — გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორს
8. შარაშიძეს ილია მიხეილის-ძეს — ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს
9. ჩიტაიშვილს ალექსანდრე ანტონის-ძეს — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს აგრონომს
10. წულუკიძეს ასლან ანტონის-ძეს — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს აგრონომს
11. ჭეიშვილს ვახტანგ ალექსის-ძეს — ნარეჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — **ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტაიშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 23 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიშნოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება:

1. ბაძიოშვილის ივანე ალექსის-ძეს — ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსს—სელექციონერს
2. გოგოძეს შალვა ლეონტის-ძეს — კრწანისის მებოსტნეობისა და რძის საბჭოთა მეურნეობის უფროს ზოოტექნიკოსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე—**ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 23 ივლისი.

3. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. მ. ე. თოფურიძის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსის ამხ. ა. კ. ჩიქვანაიას თანამოხსენება ბათუმის, ბოლნისის, გურჯაანის, ორჯონიკიძის, სტალინირის, თელავის, ქობულეთის და ყაზბეგის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებების კანონიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ დასახელებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძირითადად შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაისაბჭოების აღმასკომები რიგ შემთხვევაში ღებულობენ არასწორ გადაწყვეტილებებს. მაგალითად: ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა თავის 1954 წლის 9 სექტემბრის, 1 დეკემბრის და 1955 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებებით დაამტკიცა კოლმეურნეობების წევრთა არაუფლებამოსილ საერთო კრებების უკანონო დადგენილებანი კოლმეურნეობიდან მაგამედა მალიკ ოღლის, ურუ ალლაზ ყზის, მ. მამედოვის, ტ. პოგოსიანის, ლ. მაღრაძის, ა. გაფრინდაშვილის და მ. ტაკნიაშვილის გარიცხვის შესახებ, რითაც დარღვეული იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების 8 და 17 მუხლები.

ბოლნისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. მამედოვმა ერთპიროვნულად უთხრა უარი ჟ. ი. სტეფანიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ო. ბ. ოგანეზოვას და მათი განცხადებები კოლმეურნეობაში აღდგენის შესახებ არ განიხილა რაიაღმასკომის სხდომაზე, რითაც დაარღვია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 19 აპრილის დადგენილება „კოლმეურნეობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ". ჟ. ი. სტეფანია გარიცხეს კოლმეურნეობიდან იმის გამო, რომ მისმა ქმარმა წურწუმიამ მიატოვა ოჯახი და გადავიდა საცხოვრებლად სხვა ადგილას; სკკპ წევრი ამხ. ო. ბ. ოგანეზოვი კოლმეურნეობის აქტიური წევრი, მოხუცი, ამჟამად ავადმყოფი, გარიცხეს კოლმეურნეობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქმარი წავიდა სამუშაოდ სახელმწიფო საწარმოში.

ბოლნისის, ბათუმის, ქობულეთის და ყაზბეგის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განიხილეს რა კოლმეურნეობებში ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიებისა და ინვენტარიზაციის 1954 წლის შედეგები, გამოავლინეს რიგი დანაშაულებრივი ხასიათის დარღვევებისა, მაგრამ დამნაშავე პირთა მიმართ არ მიიღეს კანონით გათვალისწინებული ზომები. ბათუმის რაიონის სოფელ ქედის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგეებს ხ. მსხილაძესა და რ. ქონდარიძეს აღმოაჩნდათ მითვისებული 13.586 მანეთის საკოლმეურნეო ქონება. რაიაღმასკომი დაკმაყოფილდა მხოლოდ მათი სამუშაოდან მოხსნით.

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგემ კეკეურაძემ მითვისა 16.760 მანეთის საკოლმეურნეო ქონება. რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით იგი მხოლოდ სამუშაოდან იქნა მოხსნილი.

ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არღვევენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას „ადმინისტრაციულ გადასახდელთა შესახებ" და გამოაქვთ კანონსაწინააღმდეგო საგალდებულო გადაწყვეტილებები. მაგალითად: ყაზბეგის, სტალინირის და ორჯონიკიძის რაიონების საბჭოების აღმასკომებმა საგალდებულო გადაწყვეტილების დამრღვევ პირთა მიმართ დააწესეს ჯარიმა 100 მანეთამდე, ნაცვლად 50 მანეთისა; გურჯაანის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 200 მანეთი, ნაცვლად 100 მანეთისა.

ყაზბეგის, სტალინირის და ორჯონიკიძის რაიონების აღმასკომების მიერ გამოცემული საგალდებულო გადაწყვეტილებები ძალაშია შესული დღიდან მათი გამოქვეყნებისა, ძალაში კი უნდა შესულიყო 10 დღის შემდეგ.

თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1955 წლის 23 მარტს გამოსცა კანონსაწინააღმდეგო საგალდებულო გადაწყვეტილება, დააწესა ქალაქად მოხეტიალე ღორების მოსპობა, რის შესრულებაც დაავალა კომუნალური განყოფილების თანამშრომელს ბიძინაშვილს, რომელსაც თითო ღორის მოსპობისათვის განუსაზღვრა ჯილდოთ ხუთი მანეთი.

შემოწმებით დადგენილია, რომ ქ. თბილისის მილიციის განყოფილებების ზოგიერთი მუშაკი თვითნებობას იჩენს, აძლევს მოქალაქეებს პასუხისგებაში ადმინისტრაციული წესით და აჯარიმებს ისეთი მოქმედებისათვის, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა კანონით არ არის გათვალისწინებული. ასევე უკანონოდ აჯარიმებს მოქალაქეებს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებული ზოგიერთი ადმინისტრაციული კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და არ უშვენენ სათანადო ზედამხედველობას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კანონების დაცვისა და განუხრელად გატარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ბოლნისის, სტალინირის, თელავის, გურჯაანის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) გადასინჯონ გამოტანილი არასწორი გადაწყვეტილებები, განკარგულებანი და შემდეგში რაიაღმასკომის გადაწყვეტილებების და განკარგულებების გამოტანის დროს განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 19 აპრილის დადგენილებით „კოლმეურნეობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ“, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „ადმინისტრაციულ გადასახდელთა შესახებ“;

ბ) მიიღონ მხედველობაში, რომ კოლმეურნეობიდან კოლმეურნის გარიცხვა უნდა ხდებოდეს როგორც უკიდურესი ზომა მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებიც აშკარად გაუსწორებლები არიან და დეზორგანიზაცია შეაქვთ კოლმეურნეობაში. გულისხმიერად მოეკიდონ კოლმეურნეობიდან გარიცხულ პირების განცხადება-საჩივრების განხილვას და მათი აპელაციები განიხილონ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით.

გ) ის პირები, რომლებიც რევიზიებისა და წლიური ინვენტარიზაციის ჩატარების დროს გამოვლინებულნი იქნებიან როგორც საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებელნი, გადაეცენ საგამომძიებლო ორგანოებს სასამართლო პასუხისგებაში მისაცემად;

დ) სავალდებულო გადაწყვეტილებათა გამოტანის დროს ზუსტად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა, შემოიღონ პრაქტიკაში სავალდებულო გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარი განცნობა, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და გაითვალისწინონ მათი კრიტიკული შენიშვნები. სისტემატურად შეამოწმონ ადმინისტრაციული საჯარიმო კომისიების მუშაობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. მ. ე. თოფურიძეს გააძლიეროს ზედამხედველობა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერებაზე და გამოვლინებულ დარღვევებზე პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ვ. ნ. ჯანჯღლავას შეამოწმოს საქართველოს სსრ მილიციის რაიგანყოფილებებში ადმინისტრაციული ჯარიმების დადების კანონიერება, მიიღოს საჭირო ზომები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის პირველ დეკემბრამდე.

4. ერჩიოთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს ჩაატარონ შემოწმებები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერებაზე და მიიღონ შესაფერი ი ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების მუდმივმა კომისიამ შეისწავლა რაიონის ზოგიერთ სკოლაში საგაზაფხულო გამოცდებისათვის მზადებისა და მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საკითხები, რაც განხილული იქნა აღმასკომის სხდომაზე და მიღებული იქნა ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომს ორგმასობრივ მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები;

რაისაბჭოს სესიების და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში სათანადო მონაწილეობას არ ღებულობენ დეპუტატები, ყველა მუდმივი კომისია და საბჭოს აქტივი. რაისაბჭოს სესიებზე საკითხების განხილვის დროს დეპუტატები არ იჩენენ საპირო აქტივობას, ნაკლები ყურადღება ექცევა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. ამის შედეგად რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. აგროვადების დარღვევით ჩატარდა სიმინდის პირველი თოხნა და ნელი ტემპით მიმდინარეობდა სიმინდის მეორე თოხნა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სიმინდის თესვის აგროწესების უხეშად დარღვევის შედეგად 494 ჰექტარ ფართობზე სიმინდი არ აღმოცენდა. ნელი ტემპით მიმდინარეობდა პირუტყვის სადგომებისა და სასილოსე კოშკების მშენებლობა, ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული სასილოსე მასის დამზადება, დაბალია საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ნაკლები ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების და ფულადი სახსრების ამოღების საქმეს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და სახალხო განათლების მუდმივი კომისიების სუსტი მუშაობის შედეგად გასულ სასწავლო წელს, რაიონში 8-წლიან სავალდებულო სწავლებაში არ იყო ჩაბმული 51 ბავშვი, სკოლიდან განითესა 38 ბავშვი და ცუდი მოსწრების შედეგად 1.804 მოსწავლე დატოვებული იქნა იმავე კლასში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიმდინარე წელს, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ 186 ახალგაზრდიდან წარმოებებში და კოლმეურნეობებში მუშაობს მხოლოდ 17.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საბჭოები და სათანადო მუდმივი კომისიები გზების მშენებლობის, კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის დაცვის და აგრეთვე მოსახლეობის კულტურულ მომსახურების საქმეში, რის გამოც აღნიშნულ დარგებში რაიონს გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ რაისაბჭოს აღმასკომი ქმედით დახმარებას არ უწევს სასოფლო საბჭოებს, არ ხდება მუდმივი კომისიების და აღმასკომის განყოფილებების ანგარიშგება რაისაბჭოს სესიებზე და არ სახავენ სათანადო ღონისძიებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საბჭოებში თავმოყრილი არ არის წინასაარჩევნო კრებებზე შეტანილი ამომრჩეველთა წინადადებები. საანგარიშო პერიოდში საბჭოს არც ერთ დეპუტატს ანგარიში არ ჩაუბარებია ამომრჩეველებისათვის. ადგილი აქვს მშრომელთა საჩივრების და განცხადებების დაგვიანებით განხილვის ფაქტებს.

რაისაბჭოს აღმასკომი დაგვიანებით იხილავს ზემდგომ ორგანოებიდან მიღებულ დადგენილებებს და სუსტად ახორციელებს მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებას.

სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგმასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სახალ-ხო მეურნეობის გეგმების შესრულების საქმეში ადგილობრივი საბჭოებისა და მათი მუდმივი კომისიების როლის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მიიღოს საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვა-ნებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) გარდაქმნას ორგმასობრივი მუშაობა, გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება სასოფლო საბჭოებისადმი, სისტემატური დახმარება აღმოუჩი-ნოს მუდმივ კომისიებს, რათა ისინი აქტიურად ჩაებან საბჭოების ყოველ-დღიურ მუშაობაში, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესოს მუშაობა დეპუტატებთან, პერიოდულად მოაწყოს მათი ამომრჩევლებთან შეხვედრა და ანგარიშების ჩაბარება, დაეხმა-როს მათ ამომრჩეველთა მიერ მიცემულ წინადადებათა განხორციელებაში. ფართოდ ჩააბას საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოს აქტივი რაიონის წინაშე მდგარ ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში;

გ) დაეხმაროს კოლმეურნეობებს მეურნეობის სწორ დაგეგმვაში და შრო-მის ორგანიზაციის მოწყობაში, ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრე-ბა კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და რგოლებს შორის, უზრუნველყოს სოფ-ლის მეურნეობის ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდება და მეცხოვე-ლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ გადიდებას;

დ) ყურადღება მიაქციოს გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს, აქტიურად ჩააბას ამ საქმეში საბჭოების მუდმივი კომისიები, სოფ-ლის აქტივი და აგრეთვე კოლმეურნეობების საგზაო ბრიგადები;

ე) მიიღოს გადამჭრელი ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებისათვის და უზრუნველყოს სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სკოლებში ჩაბმა; სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატაროს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის მათი წარმოებებ-ში და კოლმეურნეობებში სამუშაოდ ჩასაბმელად;

ვ) ფართოდ გაშალოს რაიონის მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობა, მოაწყოს ლექცია-საუბრები, გააუმჯობესოს კლუბების, ბიბლიოთე-კების, თვითმოქმედი წრეების მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქ-ციოს რაიონის ცენტრიდან დაშორებულ სოფლების კულტმომსახურებას;

ზ) ყურადღებით მოეკიდოს მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, მათზე დროულად და კანონიერი პასუხების გაცემის საქმეს;

თ) დროულად განიხილოს ზემდგომ ორგანოებიდან მიღებული დადგე-ნილებები და დააწესოს მტკიცე კონტროლი რაიაღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბ-ჭოების აღმასკომებს აღნიშნული დადგენილება განიხილონ თავიანთ სხდომებ-ზე, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების თან-დასწრებით, ფართოდ განუმარტონ მათ საბჭოების მუდმივი კომისიებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების უფლება-მოვალეობანი და დასახონ ღონისძიებები საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის გარდაქმნისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 31 აგვისტო.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდნენ შემდეგი სოფლები:

ამბროლაურის რაიონის სხვავის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო სხვავა დ ჭყვიშის სასოფლო საბჭოს სოფელი ლაბეჭინა;

ბორჯომის რაიონის გუჯარეთის სასოფლო საბჭოს სოფელი დიდი თონეთი;

გეგეჭკორის რაიონის დოშაყეს სასოფლო საბჭოს სოფელი პირველი კიწია;

დმანისის რაიონის ყარაბულახის სასოფლო საბჭოს სოფელი მუზდურლარი;

კასპის რაიონის ოკმის სასოფლო საბჭოს სოფელი მარღიანთკარი;

ლაგოდეხის რაიონის კაბლის სასოფლო საბჭოს სოფელი გოდაგთალა;

მესტიის რაიონის კალის სასოფლო საბჭოს სოფლები მუკვდარი და ხალდე, ჩუბეხევის სასოფლო საბჭოს სოფელი ლაშხრაში;

საგარეჯოს რაიონის ხაშმის სასოფლო საბჭოს სოფელი ქატი;

თეთრიწყაროს რაიონის თონეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ზიმოვნიკი;

ორჯონიკიძის რაიონის ვარძიის სასოფლო საბჭოს სოფელი საძროხია;

წულუკიძის რაიონის კინჩხის სასოფლო საბჭოს სოფელი ბოროწინა;

ჩოხატაურის რაიონის ზემო ხეთის სასოფლო საბჭოს სოფელი წიაღობანი.

2. ეწოდოთ სოფლებს:

გარდაბნის რაიონის ტატიანოვკის სასოფლო საბჭოს სოფელ ტატიანოვკას—სოფელი კალინინო;

თიანეთის რაიონის კისისხევის სასოფლო საბჭოს სოფელ ნასომხარს—სოფელი ნასამხრალი.

3. გადატანილი იქნან სასოფლო საბჭოების ცენტრები:

მესტიის რაიონის მულახის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ჟამუშიდან სოფელ ჭოლაშში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუბეხევის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ თავრალიდან სოფელ ნაკში.

4. ეწოდოთ სასოფლო საბჭოებს, მათი ცენტრების სახელწოდებათა შესაბამისად:

ბოგდანოვკის რაიონის ფარაონის სასოფლო საბჭოს — ტანმოვკის სასოფლო საბჭო;

მესტიის რაიონის ჩუბეხევის სასოფლო საბჭოს — ნაკის სასოფლო საბჭო;

გარდაბნის რაიონის ტატიანოვკის სასოფლო საბჭოს — კალინინის სასოფლო საბჭო.

5. გამოეყოთ:

ზუგდიდის რაიონის ჭითაწყარის სასოფლო საბჭოს სოფელი ორერემე და მიეკუთვნოს ინგირის სასოფლო საბჭოს;

თერჯოლის რაიონის თუზის სასოფლო საბჭოს სოფელი მუჯირეთი და მიეკუთვნოს საზანოს სასოფლო საბჭოს;

თეთრიწყაროს რაიონის ახალაფის სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი კლდეისი და პატარა კლდეისი და მიეკუთვნონ ირაგის სასოფლო საბჭოს.

6. ტერიტორიულად შეზრდასთან დაკავშირებით გაერთიანდნენ გარდაბნის რაიონის გარდაბნის სასოფლო საბჭოს სოფლები:

მიხაილოვკა და ვასილევკა ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ყდანოვკა;

ერთობა და გარდაბანი ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი გარდაბანი.

7. მიეკუთვნონ სოფლების ჯგუფს:

მარნეულის რაიონის პირველი დასახლების უბანი და ეწოდოს სოფელი აკ. წერეთელი;

მარნეულის რაიონის მეორე დასახლების უბანი და ეწოდოს სოფელი ს. ორჯონიკიძე;

წალკის რაიონის სოფელ აშკალიდან გამოყოფილი მოსახლეობით დასახლებული პუნქტი და ეწოდოს სოფელი ზემო აშკალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 31 აგვისტო.

6. ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-15 პუნქტის გაუქმების შესახებ

„მოწყობილობისა და მასალის გაყიდვის, გაცვლის და სხვაზე გაცემის აკრძალვისა და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გაუქმებისა შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. „სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-15 პუნქტი გაუქმებულ იქნას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნას მუხლი 134[1].

2. ის პირნი, რომელნიც მსჯავრდადებული არიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 134[1] მუხლით, ხოლო სასჯელი არ მოუხდიათ, განთავისუფლდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

მოეხსნათ ნასამართლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 134[1] მუხლით მსჯავრდადებულ პირთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 31 აგვისტო.